

მწვანე ფინანსური ურთიერთობების ეფექტიანობის ამაღლების როლი ქვეყნის მდგრად განვითარებაში

ნანა შონია

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, nana.shonia@atsu.edu.ge

კახა კუპატაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების მიმართულების
მოწვეული სპეციალისტი, kakha.kupatadze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ეკონომიკა; მწვანე ფინანსები; მწვანე ობლიგაცია; მწვანე
სესხი; მწვანე დაზღვევა

J.E.L. Classification: G2, E5

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2025.29.12>

ციტირებისთვის: შონია ნ., კუპატაძე კ., (2025) მწვანე ფინანსური ურთიერთობების ეფექტიანობის
ამაღლების როლი ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 127-
137. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2025.29.12>

ანოტაცია. საქართველოში მწვანე ფინანსური ურთიერთობების ეფექტიანობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და მრავალმხრივ ქმედებებს: ბაზრის განვითარებას, რეგულაციების და სტანდარტების გაუმჯობესებას, ინფორმაციის გავრცელებას და ცნობიერების ამაღლებას, ფინანსური სტიმულების და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავებას. მიზანშეწონილია მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული გამოწვევები გადაიჭრას მწვანე ფინანსების ბაზრის განვითარებისთვის მეტი ინვესტიორის მოზიდვით და ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნებით, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან აქტიური პარტნიორობით, მკაფიო და გამჭვირვალე რეგულაციების და სტანდარტების შემუშავებით, მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის და მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, ფინანსური სტიმულების და შეღავათების შემუშავებით, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავებით და განხორციელებით.

შესავალი

მწვანე ფინანსური ურთიერთობები, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ინტეგრირებას ფინანსურ გადაწყვეტილებებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მდგრად განვითარებაში (სეზ, მდგრადი დაფინანსების ჩარჩო). ამ ტიპის დაფინანსება მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების გათვალისწინებას, რაც

ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდას (სეზ, მდგრადი დაფინანსების პოლიტიკა).

მწვანე ფინანსური ურთიერთობების გამოწვევები მრავალმხრივია. პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი რეგულაციების და სტანდარტების შემუშავება, რათა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და კორპორაციებმა შეძლონ ESG საკითხების სათანადო მართვა. ასევე, მნიშვნელოვანია ცნობადობის ამაღლება და განათლება, რათა ყველა მონაწი-

ლემ შეძლოს მწვანე ფინანსური პროდუქტების და სერვისების ეფექტიანად გამოყენება.

მწვანე ფინანსური ურთიერთობების ეფექტიანობა ქვეყნის მდგრად განვითარებაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა და მათი ინტეგრირება ფინანსურ გადაწყვეტილებებში. ეს ხელს უწყობს არამხოლოდ ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებას, არამედ ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ და გარემოსდაცვით მდგომარეობაზე.

ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამოვლინდა, რომ საქართველოში მწვანე ობლიგაციების მეშვეობით უფრო ხშირად ფინანსდება შემდეგი პროექტები:

1. ენერგიის ეფექტურობასთან და განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული პროექტები: ენერგიის ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა LED განათება და ენერგოეფექტური HVAC სისტემები, რომლის საფუძველზეც შემცირდა ენერგიის მოხმარება, ნახშირბადის ემისია და შემცირდა ხარჯები.
2. დაბინძურების პრევენციასა და კონტროლთან დაკავშირებული პროექტები: დაბინძურების პრევენციის და კონტროლის ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა ჰაერის და წყლის ფილტრაციის სისტემები. აღნიშნულის საფუძველზე გაუმჯო-

ბესდა როგორც ჰაერის, ისე წყლის ხარისხი და შემცირდა გარემოს დაბინძურება.

3. ბუნებრივი რესურსებისა და მიწის მართვასთან დაკავშირებული პროექტები: ტყეების აღდგენა, მიწის კონსერვაცია და ბიომრავალფეროვნების დაცვა. გაუმჯობესებულია საქართველოს ეკოსისტემა, შენარჩუნებულია ბიომრავალფეროვნება და შემუშავებულია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა.
4. სუფთა ტრანსპორტის პროექტები: ეკო-მეგობრული ტრანსპორტის სისტემების განვითარება, როგორცაა ელექტრო ავტობუსები და ველოსიპედების ბილიკები. დაიზოგა ენერგია, შემცირდა ჰაერის დაბინძურების მოცულობა და შემცირდა ტრანსპორტის ხარჯები.
5. წყლის და ნარჩენების მართვის პროექტები: წყლის კონსერვაციის და ნარჩენების მართვის პროგრამების განვითარება, როგორცაა წვიმის წყლის შეგროვება და ნარჩენების გადამუშავება. დაიზოგა წყლის რესურსები, შემცირდა ნარჩენების რაოდენობა და გარემოს დაბინძურების მოცულობა.
6. მწვანე შენობების პროექტები: ენერგოეფექტური და ეკო-მეგობრული შენობების მშენებლობა და განახლება. შემცირდა ენერგიის მოხმარების რაოდენობა, ნახშირბადის ემისიების მოცულობა და დაიზოგა ხარჯები.

მწვანე ობლიგაციების სარგებლიანობის შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ მწვანე ობლიგაციების მიმოქცევა (Green Bonds) მრავალი სარგებლის მომტანია როგორც ინვესტორებისთვის, ასევე გარემოსა და საზოგადოებისთვის, კერძოდ (GEFF, 2024):

- ✓ **ეკოლოგიური პროექტების დაფინანსება:** მწვანე ობლიგაციები გამოიყენება ეკოლოგიური პროექტების დაფინანსებისთვის, როგორცაა განახლებადი ენერგიის წყაროები, ნარჩენების მართვა და წყლის კონსერვაცია. ეს პროექტები ხელს უწყობენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას და გარემოს დაცვას.
- ✓ **ინვესტორების მოზიდვა.** მწვანე ობლიგაციები იზიდავენ ინვესტორებს, რომლებიც დაინტერესებული არიან სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობის (ESG) კრიტერიუმებით. ეს ინვესტორები ეძებენ შესაძლებლობებს, რომლებსაც არა მხოლოდ ფინანსური სარგებელი მოაქვთ, არამედ დადებით გავლენას მოახდენენ გარემოზე.
- ✓ **დივერსიფიკაციის შესაძლებლობა:** მწვანე ობლიგაციები ინვესტორებს სთავაზობენ პორტფელის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას, რაც ამცირებს რისკებს და ზრდის ინვესტიციების სტაბილურობას.
- ✓ **რეპუტაციის გაუმჯობესება:** მწვანე ობლიგაციების გამოშვება და ინვესტირება ხელს უწყობს კომპანიის ან ორგანიზაციის რეპუტაციის გაუმჯობესებას. ეს აჩვენებს, რომ კომპანია ან ორგანიზაცია პასუხისმგებ-

ლობით ეკიდება გარემოს დაცვას და მდგრადი განვითარების მიზნებს.


- ✓ **საგადასახადო შეღავათები.** ზოგიერთ ქვეყანაში მწვანე ობლიგაციები სთავაზობენ საგადასახადო შეღავათებს ინვესტორებს, რაც ზრდის მათ მიმზიდველობას.
- ✓ **გლობალური პარტნიორობა და თანამშრომლობა.** მწვანე ობლიგაციები ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას და პარტნიორობას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ეს პროექტები აერთიანებენ სხვადასხვა ქვეყნების და ორგანიზაციების ძალისხმევას გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში (Khan, et al., 2024)

ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს მწვანე, სოციალური, მდგრადი და სხვა მსგავსი (GSS+) ობლიგაციების გამოშვება და გასაყიდად წარდგენა როგორც უცხოურ, ისე საქართველოს საფონდო ბირჟებზე (იხ. დიაგრამა 1).

2022 და 2023 წლები განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა GSS+ ობლიგაციების გამოშვების კუთხით საქართველოში, რადგან ადგილობრივმა კომპანიებმა ამ ტიპის ობლიგაციების ემისია ადგილობრივ ბაზარზე დაიწყეს, ძირითადად ეროვნულ ვალუტაში. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარზე ბოლო ტენდენციების მიხედვით, GSS+ ობლიგაციების მიმართ ქართული კომპანიების ინტერესი მზარდია.

დიაგრამა 1


უცხოურ და საქართველოს საფონდო ბირჟებზე
მწვანე ობლიგაციებით ვაჭრობის შედეგები (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://nbg.gov.ge/page>

დიაგრამა 2

2020-2023 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობა
(მლნ ლარებში, ევროში, აშშ დოლარში)



წყარო: <https://nbg.gov.ge/page>

ქვემოთ მოცემულია ქართული კომპანიების მიერ 2023-2024 გამოშვებული GSS+ ობლიგაციებით და მასთან დაკავშირებული საქმიანობით გამოირჩეოდა შპს „პრაიმ ბეტონი“ შპს „ჯეოსთილი“, სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ და შპს „ბაზის ბანკი“.

მწვანე ობლიგაციების გარდა,

მწვანე ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მწვანე სესხები, რომლებიც გაიცემა მწვანე პროექტების დასაფინანსებლად, მაგალითად, ენერგოეფექტური შენობების რეტროფიტი ან განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება (Fu and Pirabi, 2023). საქართველოში მწვანე სესხების მოცულობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა,

2023 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობამ 843 მილიონი ლარი შეადგინა (313 მილიონი აშშ დოლარი) გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ეს 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობასთან შედარებით 73%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წელს 17%-იანი ზრდასთან შედარებით) (იხ. დიაგრამა 2).

მე-2 დიაგრამიდან ჩანს, რომ 2023 წელს გაცემული მწვანე სესხების უმეტესი ნაწილი კვლავ აშშ დოლარშია დენომინირებული. მწვანე სესხების წილი 2023 წელს გაცემულ მთლიან სესხებში 1.8%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის მონაცემს 0.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. იმ ბანკებისთვის, რომლებმაც მწვანე სესხების შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნეს, 2023 წელს გაცემულ მთლიან სესხებში მწვანე სესხების წილი საშუალოდ 2.7% შეადგენდა.

რაც შეეხება 2023 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას, მან 1.9 მილიარდი ლარი (694 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა (იხ. დიაგრამა 3). 2023 წელს წინა წელთან შედარებით მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 30%-ით გაიზარდა (2022 წლის 15%-იან ზრდასთან შედარებით). წინა წელთან შედარებით გაიზარდა ასევე აშშ დოლარში გაცემული სესხების წილი და


67% შეადგინა. 2023 წლის ბოლოსთვის მწვანე სესხებმა მთლიანი პორტფელის 3.5% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2022 წელს 3.2%, ხოლო 2021 წელს 2.9%-ს შეადგენდა. აღნიშნული მწვანე სესხების ზრდის ნელ, თუმცა მზარდ ტენდენციას წარმოადგენს. ბანკების დონეზე მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში საშუალოდ 6% იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დაახლოებით 14%-ს აღწევდა.

ამ ეტაპზე მწვანე სესხების გაცემაში სამი ბანკი ლიდერობს: თიბისი ბანკი (45%), საქართველოს ბანკი (35%) და პროკრედიტ ბანკი (13%). ეს სესხები ძირითადად ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის და სხვა ეკოლოგიურად სუფთა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება.

ზემოაღნიშნულის გარდა, მწვანე ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ეკოლოგიური ინვესტიციები, რომლებიც ახორციელებენ გარემოსდაცვითი კრიტერიუმების დაცვას და მდგრადი განვითარების პროექტებს. საქართველოში 2024 წლის მონაცემებით ეკოლოგიური ინვესტიციების მოცულობამ 1.2 მილიარდი ლარი (დაახლოებით 450 მილიონი დოლარი) შეადგინა. ეს ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის, წყლის რესურსების და ნარჩენების მართვის პროექტებზე.

დიაგრამა 3.


მწვანე სესხების წილი კომერციული ბანკების მთლიან
საინვესტიციო პორტფელში (მლრდ ლარი)



წყარო: <https://nbg.gov.ge/page>

დიაგრამა 4

2020-2023 წლებში გაცემული მწვანე სესხები (ტექსონომიის შესაბამისი
და სხვა მწვანე სესხები) ბანკების მიხედვით
(მლნ ლარი, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: <https://nbg.gov.ge/page>

აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია მწვანე დაზღვევა, დაზღვევის პროდუქტები, რომლებიც ითვალისწინებენ კლიმატის ცვლილების რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და სადაზღვევო შემთხვევის დაფარვას. იგი ხელს უწყობს მდგრადი პროექტების

დაფინანსებას და მისი ძირითადი ტიპებია - ენერგოეფექტურობის დაზღვევა, განახლებადი ენერგიის დაზღვევა და ნარჩენების მართვის დაზღვევა. მწვანე დაზღვევა ხელს უწყობს ინვესტორებს და კომპანიებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ეკოლოგიურად სუფ-

თა და მდგრადი პროექტების განხორციელებაში, რისკების შემცირებაში და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. საქართველოში მწვანე დაზღვევის პროდუქტები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე სესხები და ობლიგაციები უკვე აქტიურად გამოიყენება, მწვანე დაზღვევის პროდუქტების მიმოქცევა შედარებით შეზღუდულია. მწვანე დაზღვევის პროდუქტების განვითარება მოითხოვს შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოს, ასევე ფინანსური ინსტიტუტების და ბიზნესების ინფორმირებულობას და დაინტერესებას. ამჟამად, საქართველოში მწვანე დაზღვევის პროდუქტების განვითარება ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების და პროექტების მხარდაჭერით ხდება (Ozili, Peterson, 2022).

საქართველოში მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევის ეფექტიანობის განსაზღვრას ახდენენ როგორც ემიტენტები, ისე ინვესტორები, მსესხებლები და დამზღვევები. თუმცა, დღემდე არ აქვს ადგილი შედეგების გამჭვირვალობას. ეფექტიანობის გაზომვა და მისი გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, რადგან იგი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს და ინდივიდებს, რომ უკეთ მართონ რესურსები და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი. გარდა ამისა, მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევამ უნდა უზრუნველყოს როგორც ეკონომიკური და ფინანსური ეფექტიანობა, ისე ენერგო, ოპერაციული და სოციალური ეფექტი-

ანობა.

მწვანე ფინანსური ურთიერთობების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია სახელმწიფომ და კომპანიებმა გაითვალისწინონ შემდეგი ასპექტები:

1. ESG კრიტერიუმების ინტეგრაცია: გარემოს, სოციალური და მმართველობის (ESG) კრიტერიუმების ინტეგრაცია ინვესტიციების და აქტივების მართვის გადაწყვეტილებებში. ეს მოიცავს ენერგოეფექტური შენობების პრიორიტეტიზაციას, მწვანე ფინანსირებას და მდგრადი მიწოდების ჯაჭვების შექმნას.
2. მწვანე სერტიფიკატების მიღება: B Corp™ სერტიფიკატების მიღება, რომელიც აჩვენებს კომპანიის ღირებულებებს და მდგრადობის პრაქტიკების გაუმჯობესების გზას.
3. ენერგოეფექტური შენობების რეტროფიტი: არსებული შენობების ენერგოეფექტური სისტემებით აღჭურვა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება.
4. კლიმატის ცვლილების მტკიცებულებების გამოყენება: კლიმატის ცვლილების და მდგრადი გადაწყვეტილებების შესახებ არსებული მტკიცებულებების გამოყენება ბიზნესის მომზადებისთვის მომავალი ცვლილებებისათვის.
5. მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება: მწვანე ობლიგაციების და სხვა ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი პროექტების დაფინანსებას.

6. სოციალური გავლენის გაზომვა: მწვანე პროექტების სოციალური გავლენის გაზომვა და შეფასება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი მართლაც მიაღწევენ დასახულ მიზნებს.
7. მუშაკთა განათლება: თანამშრომლების განათლება და ტრენინგი მდგრადობის საკითხებზე, რათა მათ უკეთ გაიგონ და განახორციელონ მწვანე პრაქტიკები.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა, რომ მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევა როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ისე საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯია მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევასა და ეკოლოგიური პროექტების დაფინანსებაში. თუმცა, ამ პროცესს დღემდე თან ახლავს რამდენიმე გამოწვევა:

- ✓ ბაზრის განვითარება და ლიკვიდურობა. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, რაც ართულებს მწვანე ობლიგაციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფას;
- ✓ რეგულაციები და სტანდარტები. მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების რეგულაციები და სტანდარტები ჯერ კიდევ არ არის სრულად განსაზღვრული და განვითარებული საქართველოში.
- ✓ ინფორმაციის ნაკლებობა და ცნობიერების ამაღლება. მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და საზოგადოების დაბალი ცნობიერება ართულებს ინვესტორების მოზიდვას.

- ✓ ფინანსური რისკები და სტაბილურობა. მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების ინვესტიციებთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, როგორცაა დაბალი შემოსავლიანობა და ბაზრის არასტაბილურობა, შეიძლება იყოს შემაფერხებელი ფაქტორი.
- ✓ კლიმატის ცვლილების ზეგავლენა. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა, როგორცაა გვალვები და წყალდიდობები, ართულებს მწვანე პროექტების რეალიზებას და მდგრადობას.

რეკომენდაციები

მწვანე ფინანსური ურთიერთობები საქართველოში მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და მრავალმხრივ ქმედებებს. ეს მოიცავს ბაზრის განვითარებას, რეგულაციების და სტანდარტების გაუმჯობესებას, ინფორმაციის გავრცელებას და ცნობიერების ამაღლებას, ფინანსური სტიმულების და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავებას. ასევე, არსებული გამოწვევების შემდეგი გზებით გადაწყვეტას:

- ✓ მწვანე ფინანსების ბაზრის განვითარებისთვის მეტი ინვესტორის მოზიდვა და ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა და პარტნიორობა;
- ✓ მკაფიო და გამჭვირვალე რეგულაციების და სტანდარტების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორების ნდობას და ბაზრის სტაბილურობას, მიუხედავად იმი-

სა, რომ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი ფინანსების გზამკვლევი და ESG სახელმძღვანელოები ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ;

- ✓ ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლება მწვანე ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლის და მნიშვნელობის შესახებ. ეს შეიძლება მოიცავდეს მარკეტინგულ კამპანიებს, ვორქშოფებს და ტრენინგებს;
- ✓ ფინანსური სტიმულების და შეღავათების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინვესტორების მოზიდვას და ბაზრის სტაბილურობას. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა და პარტნიორობა;
- ✓ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ მწვანე პროექტების მდგრადობას და გრძელვადიან წარმატებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. მდგრადი დაფინანსების პოლიტიკა - URL:<https://nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-ანგარიში>
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩო, URL:<https://nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსება>
3. GEFF საქართველოში: მწვანე დაფინანსების ოთხი წელი, URL:<https://ebrdgeff.com/georgia/english-four-years-of-transformative-impact-the-success-story-of-geff-in-georgia/>
4. Khan, H.H.A., Ahmad, N., Yusof, N.M. et al. (2024) Green finance and environmental sustainability: a systematic review and future research avenues. Environ Sci Pollut Res 31, 9784–9794. URL:<https://doi.org/10.1007/s11356-023-31809-6>
5. Ozili, Peterson K, (2022) Green Finance Research Around the World: A Review of Literature. International Journal of Green Economics, Forthcoming , Available at SSRN: URL:<https://ssrn.com/abstract=4066900>
6. Fu C., Lu L., Pirabi M., (2023) Advancing green finance: a review of sustainable development. Digital Economy and Sustainable Development, 1:20. URL:<https://doi.org/10.1007/s44265-023-00020-3>